პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

585/1978/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№6 (449)

1978 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (449) ივნისი 1978 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. ქუთაისის ავტოქარხნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს არჩევნების № 18 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისა და რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

115. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის საკითხების შესახებ.

116. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

117. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის სახელზე მიღებული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

118. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების მომზადებასთან და მიღებასთან დაკავშირებით მუშაობის დამთავრების შესახებ.

119. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის კონსტიტუციასთან და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

120. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ცხინვალის საქალაქო, ზესტაფონის, ბორჯომის, ლანჩხუთისა და წალკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ივლისის დადგენილების შესრულების თაობაზე.

121. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს მცხოვრებთა კოლექტიური განცხადების თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ განხილვის შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

122. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების გამოქვეყნების შესახებ.

123. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

### საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე მიღებული კანონები და დადგენილებები

124. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ.

125. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

126. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა მოქალაქეთა მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

127. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

### განყოფილება მეორე

128. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.

129. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

130. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

131. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. ვ. ივანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. თ. ასათიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

134. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ბუძგულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

135. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. გ. გოგობერიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

136. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. გოკიელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ზარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
139. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ქადაგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
140. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ვ. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
141. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. ხოფერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
142. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
143. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, ამხ. გ. ე. აზაურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
144. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, ამხ. ნ. ბ. ჩხოლარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საინფორმაციო ცნობები.

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 114 ქ. ქუთაისის ავტოქარხნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს არჩევნების № 18 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისა და რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაკმაყოფილდეს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და ქ. ქუთაისის ავტოქარხნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს არჩევნების № 18 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისა და რეგისტრაციის ვადა გაგრძელდეს მიმდინარე წლის 17 ივნისამდე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 14 ივნისი.

№ 1124 — IX.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 115 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის საკითხების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეცხრე სესიის დღის წესრიგში შესატანად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს გადაეცეს შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. პ. გილაშვილი).

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

II. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინოს საქართველოს სსრ კანონებისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების შემდეგი პროექტები:

**საქართველოს სსრ კანონთა პროექტები:**

1. საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

2. მოქალაქეთა მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი:**

საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ამხ. თ. ლაშქარაშვილს მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილ ბრძანებულებათა შესახებ.

III. მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეცხრე სესიის მუშაობის წესის შესახებ.

IV. უხუცესთა საბჭოს სხდომა მეცხრე მოწვევის მეცხრე სესიის ორგანიზაციულ საკითხებზე მოწვეულ იქნეს 1978 წლის 28 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 26 ივნისი.
№ 1128 — IX.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 116 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. შ. დ. კიკნაძის ინფორმაცია „საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ“ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია დეპუტატების მიერ დაყენებული წინადადებებისა და შენიშვნების განხორციელებისათვის; მათი განხილვა-გადაწყვეტის შესახებ ეცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განაგრძოს მუშაობა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესრულებისათვის.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 26 ივნისი.
№ 1127 — IX.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 117 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის სახელზე მიღებული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის სახელზე მიღებული იყო მშრომელთა 42 განცხადება და საჩივარი, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 13 აპრილის დადგენილების შესაბამისად განსახილველად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სათანადო სამინისტროებსა და უწყებებს.

პასუხი მიღებულია ყველა განცხადებასა და საჩივარზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ინფორმაცია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის სახელზე მიღებული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 26 ივნისი
№ 1135 — IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 118 ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების მომზადებასთან და მიღებასთან დაკავშირებით მუშაობის დამთავრების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. პ. გ. გილაშვილის ინფორმაცია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ახალი კონსტიტუციების მომზადებასთან და მიღებასთან დაკავშირებით მუშაობის დამთავრების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ჩატარდა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა. კონსტიტუციების პროექტების განხილვა მიმდინარეობდა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ატმოსფეროში. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელებმა ახალი კონსტიტუციების მიღება აღიქვეს როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი სოციალისტური დემოკრატიის გაფართოებისა და გაღრმავების გზაზე, როგორც ლენინური ეროვნული პოლიტიკისადმი ერთგულების ნათელი დადასტურება, რომელმაც განაპირობა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების აყვავება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭოებმა დაამტკიცეს ახალი კონსტიტუციები, რომლებიც შეესაბამება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს და ითვალისწინებს ყოველი ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს.

2. რეკომენდაცია მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს განახორციელონ ზუსტი კონტროლი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მიერ მშრომელთა იმ წინადადებების და შენიშვნების განხილვისა და გათვალისწინებისადმი, რომელიც შეეხება სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის, სახელმწიფო აპარატის, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, რომლებიც დაყენებული იყო კონსტიტუციების პროექტების განხილვისას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს განიხილონ მშრომელთა ის შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც შეეხება მათ საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების რიგგარეშე სესიებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უზრუნველყოს აღნიშნული წინადადებების და შენიშვნების საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების მიერ განხილვისა და შესრულებისადმი კონტროლი.

4. გაგრძელდეს ავტონომიურ რესპუბლიკებში სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან რესპუბლიკური კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობა.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების ყველა მოთხოვნის განხორციელებას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლებების და ინტერესების დაცვას, მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 26 ივნისი
№ 1126 — IX.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 119 სსრ კავშირის კონსტიტუციასთან და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ" საქართველოს სსრ 1978 წლის 15 აპრილის კანონისა და „მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების მოსამზადებლად და მისაღებად მუშაობის დამთავრების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 16 მაისის დადგენილების შესრულებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის კონსტიტუციასთან და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის გეგმა.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეუსაბამოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის კონსტიტუციას და საქართველოს სსრ კონსტიტუციას.

3. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოამზადოს და დადგენილი წესით წარმოადგინოს წინადადებები:

იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ კანონებში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებსა და დადგენილებებში, რომლებიც არსებითად არ საჭიროებენ შეცვლას, შეტანილ იქნეს სათანადო შესწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებანი და დაზუსტებანი სსრ კავშირის კონსტიტუციიდან და საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან გამომდინარე ტერმინებსა და სახელწოდებებში;

იმის შესახებ, რომ ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 26 ივნისი.
№ 1132 — IX.

**დანართი**

„სსრ კავშირის კონსტიტუციასთან და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 26 ივნისის დადგენილებისა.

## გეგმა

## სსრ კავშირის კონსტიტუციასთან და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციისა

**1. საქართველოს სსრ იმ კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების პროექტები, რომლებიც უნდა მომზადდეს:**

I. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით.

(1978 წლის ნოემბერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კანონი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით.

(1979 წლის აპრილი).

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

(1979 წლის ნოემბერი).

4. კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

(1979 წლის აპრილი).

5. კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ.

პროექტს ამზადებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო.

(1980 წლის მარტი).

6. საკანონმდებლო აქტი საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსა და რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად.

(1980 წლის იანვარი).

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

7. კანონი საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) ჩატარების წესის შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით.

(1983 წლის მაისი).

8. კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

(1980 წლის ნოემბერი).

9. კანონი ცხოველთა სამყაროს დაცვის შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

(1980 წლის ნოემბერი).

10. კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით.

(1980 წლის მაისი).

11. საქართველოს სსრ ტყის კოდექსი.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

(1978 წლის ნოემბერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საკანონმდებლო აქტი ამომრჩეველთა განაწესების განხილვისა და შესრულების წესის შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით.

(1979 წლის მაისი).

13. საკანონმდებლო აქტი საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხების შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით.

(1979 წლის აპრილი).

14. საკანონმდებლო აქტი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბით სარგებლობის წესის შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით.

(1979 წლის აგვისტო).

**II. მომზადება წინადადებებისა საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.**

(შესრულების ვადა 1978—81 წ. წ. წარმოდგენილი უნდა იყოს მზადყოფნის მიხედვით).

1. დებულებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დებულებაში სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

3. კანონებში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაწილეობით.

4. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსში.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო საქართველოს სსრ პროკურატურასთან, უმაღლეს სასამართლოსა და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად.

5. საქართველოს სსრ სამოქალაქო, მიწის, წყლის, წიაღის კოდექსებში, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების შესახებ კანონებში.

წინადადებებს ამზადებენ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და წარუდგენენ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში, კანონში სასამართლო წყობილების შესახებ, მართლმსაჯულებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხებზე სხვა რესპუბლიკურ საკანონმდებლო აქტებში.

წინადადებებს ამზადებენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

8. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში, აგრეთვე საკანონმდებლო აქტებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო რესპუბლიკის პროკურატურასთან, უმაღლეს სასამართლოსთან, იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან ერთად.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებასა და დადგენილებაში, რომლებიც აწესრიგებენ საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის საკითხებს.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

10 დებულებებში სამეთვალყურეო, არასრულწლოვანთა საქმეების, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების შესახებ, ამხანაგური სასამართლოებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ.

წინადადებებს ამზადებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. კანონში საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით.

12. დებულებებში საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის შესახებ.

წინადადებას ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

13. კანონებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

14. ბრძანებულებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკითხების შეტანის წესის შესახებ.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებში პატიებისა და საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების თაობაზე შუამდგომლობათა განხილვის წესის შესახებ.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 120 „ცხინვალის საქალაქო, ზესტაფონის, ბორჯომის, ლანჩხუთის და წალკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ივლისის დადგენილების შესრულების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მოხსენებითი ბარათი „ცხინვალის საქალაქო, ზესტაფონის, ბორჯომის, ლანჩხუთის და წალკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ივლისის დადგენილების შესრულების თაობაზე მიღებულ იქნეს ცნობად და დაეგზავნოს ზემოაღნიშნულ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს; დაევალოს მათ გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობისადმი, პერიოდულად განიხილონ მათი მუშაობის საკითხები და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 26 ივნისი.
№ 1134 — IX.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 121 ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს მცხოვრებთა კოლექტიური განცხადების თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ განხილვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ზ. თ. ლობჟანიძის ინფორმაცია ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს მცხოვრებთა კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს კონტროლი დააწესოს მიღებული გადაწყვეტილების დროულად და უთუო შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 26 ივნისი.
№ 1149 — IX.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 122 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების გამოქვეყნების შესახებ

25972

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოქვეყნდეს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების ტექსტები:

**საქართველოს სსრ კანონები:**

საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე;

მოქალაქეთა მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები:**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვთა დაცვის გაუმჯობესების საქმეში;

საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი.
№ 1129 — IX.

მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 123 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის საქმის წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლები.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „საქმეებისა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის საქმის“ შეიცვალოს სიტყვით „საქმეების“;

მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვის „საქმეების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის საქმის“.

3. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1978 წლის 1 ოქტომბრიდან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 30 ივნისი.
№ 1157 — IX.

# საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე მიღებული კანონები და დადგენილებები

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 124 სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. პ. გ. გილაშვილის მოხსენება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“, აღნიშნავს, რომ კომუნისტურ მშენებლობაში რესპუბლიკის ქალების, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელი ქალის, როლი განუხრელად იზრდება. ისინი სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ მეათე ხუთწლედის დავალებათა, კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში, არიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, მნიშვნელოვანი ინიციატივისა და თაოსნობის წამომწყებნი, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მომსახურების სფეროს თვალსაჩინო მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

ჩვენს საზოგადოებაში ქალის მდგომარეობაში მომხდარი ძირფესვიანი ცვლილებები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი და გამიზნული მუშაობის შედეგია, რომლებსაც მამაკაცთან ქალის ნამდვილი, გარანტირებული თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანად მიაჩნიათ.

ქალისადმი ჩვენი საზოგადოების, კომუნისტური პარტიის დამოკიდებულების მკაფიო გამოვლინება გახდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომლის 35-ე მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ".

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს ქალებისათვის მამაკაცების თანასწორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომასა და მის ანაზღაურებაში. სამსახურებრივ დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებანი ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში; ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქალებს შრომა შეუხამონ დედობას: დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, მათ შორის ორსული ქალებისა და დედებისათვის ფასიანი შვებულებებისა და სხვა შეღავათების მიცემა, მცირეწლოვან ბავშვთა დედების სამუშაო დროის თანდათან შემცირება".

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რესპუბლიკისა და მისი პარტიული ორგანიზაციის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებათა კომპლექსმა, რომელიც შეიმუშავა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისის საქალაქო კომიტეტის და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ ცნობილ პარტიულ დოკუმენტებში, შექმნეს წანამძღვრები ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის გადაწყვეტისათვის.

რესპუბლიკაში განუწყვეტლივ იზრდება მუშა და მოსამსახურე ქალების რიცხვი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა რიცხვი 156 ათასით გაიზარდა. თანდათანობით მატულობს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა. ხორციელდება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის V პლენუმზე დასახული ამოცანა ამ დარგებში ქალთა ფართო მიზიდვის შესახებ. საზოგადოებრივ შრომაში ქალთა მასობრივი ჩაბმის, მათი კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი წანამძღვრები გახდა ქალთა განათლების დონის ზრდა, პროფესიული სწავლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ფორმის მისაწვდომობა, შრომის პირობების გაუმჯობესება, ოჯახური საზრუნავის შემსუბუქება და სახელმწიფოს დახმარება ბავშვთა აღზრდაში.

რესპუბლიკაში განუხრელად ხორციელდება სახელმწიფოს მართვაში ქალთა ფართო ჩაბმის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ლენინური პრინციპი, ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა შემადგენლობაში (1977 წლის არჩევნები) არის 23.963 ქალი, ანუ დეპუტატთა საერთო რიცხვის 48,5 პროცენტი. ბევრი ქალი დასაქმებულია სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში ხელმძღვანელ სამუშაოზე. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულია 142 ქალი, ანუ 35,5 პროცენტი, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში კი — 88 ქალი, ანუ 38,2 პროცენტი. 22 ქალი რესპუბლიკის წარმომადგენელია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ქალებს ვაწინაურებთ ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში წლიდან წლამდე იზრდება შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის ასიგნებული სახსრები. რესპუბლიკაში არის ბევრი საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება, სადაც შექმნილია ქალთა ნაყოფიერი მუშაობისა და სრულფასოვანი დასვენების კარგი პირობები. ეს არის უწინარეს ყოვლისა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება, ცხიმკომბინატი, გაგრის ჯიშთსანაშენე საბჭოთა მეურნეობა, ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა, ქუთაისის ავტოქარხანა და სხვა საწარმოები, სადაც ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ყოველნაირად ცდილობენ მზრუნველობა და ყურადღება არ მოაკლონ მუშა ქალებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ბევრი მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებათა შედეგად, რომელთა განხორციელება დასახულია მეათე ხუთწლედისათვის, სულ უფრო ხელშემწყობი პირობები შეიქმნება მუშა ქალების შრომის შემდგომი შემსუბუქებისათვის.

სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული და დამტკიცებულია შრომის დაცვისა და მისი პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების 1976—1980 წლების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმები, მათი რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქალთა შრომის პირობები.

ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რათა გაუმჯობესდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. მაგალითად, მეჩაიეობაში, რომლის მუშაკთა დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ, სულ უფრო მეტად იყენებენ ჩაის საკრეფ მანქანებს. ფოთლის ხელით მექანიზებული კრეფის აპარატებს. შრომის პირობები უმჯობესდება აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის მეურნეობებსა და რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებში.

ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გასაუმჯობესებლად.

გაფართოვდა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი, უმჯობესდება ვაჭრობის მეთოდები, დაინერგა მომსახურების ახალი პროგრესული სახეობანი.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის კერები 1977 წელს მოემსახურნენ 230 ათასზე მეტ ქალს, რამაც დამსვენებელთა თითქმის 53 პროცენტი შეადგინა. ხუთწლედის მანძილზე 66 პროცენტით გაიზარდა საოჯახო დასვენების ჯანმრთელობის კერების გამტარუნარიანობაც. მეტი ყურადღება ეთმობა დედისა და ბავშვის სამედიცინო მომსახურებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებთან და ყოველგვარ დარღვევებთან, უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებიც მიმართულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისაკენ, ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნიან ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესებისათვის.

ამჟამად ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების პრობლემები არის რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მომზადების პერიოდში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო ფართო დადგენილება „სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის დაცვისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და პროფსაბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის დაცვისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

მათი განხორციელება ბევრად გააუმჯობესებს მომუშავე ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს, ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის დაცვას, აუცილებელი დროის გამოთავისუფლებას ოჯახისა და ბავშვების აღზრდისათვის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ქალთა უფრო მეტად ჩაბმას.

ზოგიერთი დადებითი ძვრა მოხდა დედისა და ბავშვის სამედიცინო მომსახურებაში. მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია მუშაობაში ბევრმა საბავშვო პოლიკლინიკამ. უკანასკნელ ხანს გარკვეული მუშაობა განხორციელდა სოფლად მცხოვრები ქალების სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული პოზიტიური ძვრების მიღწევაში არცთუ მცირე წვლილი შეიტანეს სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, რომელთაგან ბევრი, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით და დეპუტატების, მუდმივი კომისიების, ფართო საზოგადოებრიობის გაზრდილ აქტიურობაზე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრდნობით, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, ამ ბოლო წლებში უფრო ღრმად და კვალიფიციურად სწვდება საკითხებს, რომლებიც უკავშირდება კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებას, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, დედისა და ბავშვის დაცვას.

ამასთანავე კომუნისტურ მშენებლობაში რესპუბლიკის ქალთა როლის შემდგომი ამაღლების, მათი შრომის პირობების გაუმჯობესების, დედისა და ბავშვის დაცვის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა, სერიოზული ნაკლოვანება და ხარვეზია.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეტ წილ სფეროებში შრომითი აქტიურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის ზრდას კვლავ არსებითად აფერხებს მუშა ქალთა დაბალი კვალიფიკაციის დონე, რომელიც ჯერ კიდევ ჩამორჩება მუშა მამაკაცთა კვალიფიკაციის დონეს.

რესპუბლიკაში დიდია იმ სამუშაოზე დასაქმებულ ქალთა ხვედრითი წონა, რომელიც მაღალ კვალიფიკაციას არ მოითხოვს.

თუმცა 1970 წლიდან 1978 წლამდე პერიოდში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა, საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი დასაქმების დონე კვლავ ჩამორჩება საერთო-საკავშირო მაჩვენებელს (46 პროცენტი 51 პროცენტთან შედარებით), მაშინ, როცა პირად დამხმარე და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 16 პროცენტი — უპირატესად ქალები, რაც ორჯერ აღემატება საკავშირო მაჩვენებელს. ამავე დროს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ამ კატეგორიის ქალთა ჩაბმის ერთ-ერთი გზა — არასრული სამუშაო დღე, არასრული სამუშაო კვირა და შინ მუშაობა — თითქმის არ არის გამოყენებული.

რესპუბლიკის მრეწველობის ყველა საწარმოში არ არის შექმნილი ქალთა შრომის ნორმალური პირობები. ერთეული როდია შემთხვევები, როცა ქალთა შრომა დაკავშირებულია მათზე ცუდი საწარმოო ფაქტორების ზემოქმედებასთან. ბევრია ისეთი საწარმო, სადაც სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები არ შეესაბამება მოქმედ ნორმებს, კვლავინდებურად მაღალია მძიმე ხელის შრომის დონე. დამაკმაყოფილებელი არ არის სპეცტანსაცმლითა და სპეცფეხსაცმლით, დამცველი მოწყობილობით მომარაგება, რომლებიც არცთუ იშვიათად ცუდი ხარისხისაა. ზოგიერთ საწარმოში ირღვევა კანონმდებლობა, რომელიც შეეხება ქალთა შრომის დაცვას. ბევრ დარგში, სადაც ფართოდ არის გამოყენებული ქალის შრომა, იზრდება ზეგანაკვეთურ სამუშაოთა მოცულობა, ნელა მცირდება საწარმოო ტრავმატიზმი.

ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის, მათ შორის რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვანი დარგების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ მუშა ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ყველგან არ არის მოწესრიგებული წყალმომარაგებისა და ცხელი კერძის ადგილზე მიტანის საკითხები, მოწყობილი არ არის საველე სამზარეულოები, სასადილოები; მეურნეობათა ტერიტორიაზე ხშირად არა აქვთ პირველი საჭიროების სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სათავსები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუგვარებელია მუშა ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების საქმე, ექიმები იშვიათად მიდიან მათთან უშუალოდ სამუშაო ადგილას. ძნელ პირობებში უხდებათ შრომა ზოგიერთი სასათბურე მეურნეობის მუშა ქალებს. ბევრ შემთხვევაში დაბალია მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოთა მექანიზაციის დონე, არ იცავენ შვებულებათა მიცემის, ცვლიანობის წესს, ირღვევა უსაფრთხოების ტექნიკის წესები. სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე სოფლის მშრომელ ქალთა სპეცტანსაცმლითა და სპეცფეხსაცმლით მომარაგებაში.

მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ვაჭრობაში დასაქმებულ ქალთა შრომის პირობები. ამ დარგების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, განსაკუთრებით სოფლად, საკმაო ყურადღება არ ეთმობა. მაგალითად, ჯერ კიდევ დაბალია რესპუბლიკის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელის შრომის მექანიზაციის საშუალებებით უზრუნველყოფის დონე, ქალაქებშიც კი ზოგჯერ არ არის საშხაპეები, გასახდელები, დასასვენებელი, კვების ოთახები, სავენტილაციო დანადგარები, მუშა ქალები მოკლებული არიან სამედიცინო მომსახურებას.

საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით ჯერჯერობით დაბალია ქალთა პროცენტი მომსახურების სფეროში, განსაკუთრებით ხელმძღვანელ სამუშაოზე.

საშუალო საკავშიროს ჩამორჩება თვითმომსახურების მაღაზიების, იმ მაღაზიების ხვედრითი წონის რესპუბლიკური მაჩვენებლები, რომლებიც საქონელს ყიდიან წინასწარი შეკვეთებით, უშუალოდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, შინ მიტანით და ა. შ. ცოტაა კულინარიისა და ნახევარფაბრიკატების მაღაზიები. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო, სადაც სათანადო ყურადღება არ ექცევა მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივ კვებას.

არანაკლებ შემაშფოთებელია სკოლებში მოსწავლეთა კვების ცუდი ორგანიზაცია. !

ქალებისა და ბავშვების წინაშე დიდ ვალშია რესპუბლიკის მრეწველობა, იგი სავაჭრო ქსელს არ აწვდის საკმაო ასორტიმენტის, რაოდენობისა და სათანადო ხარისხის ისეთ საქონელს, რომელზედაც გაზრდილი მოთხოვნილებაა.

სერიოზული ნაკლოვანებებია საყოფაცხოვრებო სამსახურის ორგანიზაციაშიც. რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა მომსახურების მოცულობა, განსაკუთრებით სოფლად, მნიშვნელოვნად დაბალია საშუალო-საკავშირო მაჩვენებელზე. უშუალოდ საწარმოებში არსებული საყოფაცხოვრებო სამსახურის ობიექტების ქსელი ნაკლებად აკმაყოფილებს მოთხოვნას.

ცუდად არის ორგანიზებული ქალთა კულტურული, სრულფასოვანი დასვენება, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს საოჯახო დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის კერების, საგარეუბნო პიონერული ბანაკების ქსელი. ბანაკებში გასაგზავნი ბავშვების რიცხვით რესპუბლიკა ორჯერ ჩამორჩება საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს.

ქალების, დედებისა და ბავშვების სამედიცინო მომსახურების დონე რესპუბლიკაში ყოველთვის როდი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. რაიონულ საავადმყოფოებში არ არის შესაბამისი მატერიალური ბაზა. პედიატრიული, სამეანო და გინეკოლოგიური საწოლებით უზრუნველყოფის დონე ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩება ნორმატივებს. ავადმყოფი ბავშვების საწოლების რიცხვით რესპუბლიკას უკანასკნელი ადგილი უჭირავს ქვეყანაში, ორსული და მშობიარე ქალების საწოლების რიცხვით — მერვე. ექიმის თანამდებობათა დაკომპლექტების მაჩვენებელი დაბალია საშუალო-საკავშირო მაჩვენებელზე. სამკურნალო დაწესებულებებში ყველგან არ იცავენ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს.

ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში შექმნილი მდგომარეობა. შესაბამისი მატერიალური ბაზის უქონლობის გამო მცირეა სკოლამდელი დაწესებულებების რიცხვი და ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს. ბევრი საბავშვო ბაღი და ბაგა ზედმეტად გადატვირთულია, რაც იწვევს სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დარღვევას, მათს უმრავლესობაში შექმნილი არ არის მოზარდი თაობის აღზრდის საჭირო პირობები. აკლიათ მოწყობილობა, ინვენტარი. სავაჭრო ორგანიზაციები დამაკმაყოფილებლად ვერ ამარაგებენ სკოლამდელ დაწესებულებებს სურსათ-სანოვაგით, დაბალია მათი სამედიცინო მომსახურების დონე.

ჯერ კიდევ ირღვევა შრომის კანონმდებლობა. არის ქალთა, მათ შორის ორსულ ქალთა, იმ მეძუძურ დედათა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნისა და ნაკლებხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევები, რომლებსაც ჰყავთ ერთ წლამდე ბავშვები, მარტო 1977 წელს სამუშაოზე აღადგინეს დათხოვნილ მომჩივან ქალთა 71 პროცენტი.

ქალთა შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვის ასეთი ცუდი მდგომარეობა ბევრად აიხსნება იმით, რომ მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოები, პროფესიული კავშირები და სამართლდამცველი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს.

საკმაოდ ზუსტად არ არის ორგანიზებული საპროკურორო ზედამხედველობა შრომის უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებისადმი და ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის სასამართლო პრაქტიკა ამ კატეგორიის საქმეთა გამო. ნაკლებად ეფექტიანია შრომის კანონმდებლობის პროპაგანდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების უმრავლესობა მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები, რომელთა უშუალო მოვალეობაა სისტემატურად და გამიზნულად შეისწავლონ და გადაწყვიტონ სხვადასხვა პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა სოციალური და შრომითი აქტიურობის თანამიმდევრულ ამაღლებასთან, მათზე და მოზარდ თაობაზე დაუცხრომელი ზრუნვის გამოვლინებასთან. ეს საკითხები იშვიათად ხდება საბჭოების სესიების, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების განხილვის საგანი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობს რა სკკპ XXV ყრილობის მითითებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებში გამოთქმული დებულებებითა და დასკვნებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით, უდიდეს სახელმწიფო და სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს რა კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის შემდგომი ამაღლების, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხებს, ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

— შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული, გამიზნული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალების შრომითი და სოციალური აქტიურობის, მათი შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის, საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმების ყოველმხრივ ზრდას, ქალთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

— უფრო ფართოდ დანერგონ სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, სადაც ამისათვის არსებობს ობიექტური პირობები, არასრული სამუშაო დღე, არასრული სამუშაო კვირა, შინ მუშაობა;

— განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი იმისათვის, რომ უთუოდ სრულდებოდეს შრომის დაცვის, მისი პირობების გაუმჯობესების, სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმები; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ქალთა შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფას, სათანადო ხარისხისა და ასორტიმენტის სპეცტანსაცმლითა და სპეცფეხსაცმლით მათ შეუფერხებელ მომარაგებას, დააჩქარონ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დანერგვა, რომლებიც ამსუბუქებენ შრომის პირობებს, თავიდან გვაცილებენ საწარმოო ტრავმატიზმსა და პროფესიულ დაავადებებს, გამოათავისუფლონ ქალები არახელსაყრელი საწარმოო პირობებიდან;

— მუდმივი კონტროლი და პერსონალური პასუხისმგებლობა დააწესონ მომუშავე ქალების სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სამედიცინო, სანატორიულ-საკურორტო, გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების კომპლექსურ ღონისძიებათა განუხრელი განხორციელებისათვის;

— გამონახონ დამატებითი სახსრები ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობის გაზრდისათვის, პიონერული და სპორტულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამაჯანსაღებელი ბანაკების განვითარებისათვის უახლოეს წლებში მათზე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების მიზნით;

— უზრუნველყონ მომუშავე ქალთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის დონისა და გამიზნულობის შემდგომი ამაღლება. ფართოდ ჩააბან ისინი სახალხო უნივერსიტეტების, მუდმივმოქმედი ლექტორიუმების, კომუნისტური შრომის სკოლების მეცადინეობაში, მხატვრული თვითმოქმედების წრეებში; საწარმოებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, ბიბლიოთეკებში, საცხოვრებელ ადგილას სისტემატურად მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები, გამოფენები, რომლებიც განმარტავენ და პროპაგანდას გაუწევენ ჩვენი მშრომელი ქალების შრომის, ყოფა-ცხოვრების და დასვენების, დედისა და ბავშვის დაცვის შესახებ მოქმედ კანონმდებლობას, გვიჩვენებენ საბჭოთა ქალების როლსა და მნიშვნელობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

2. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ შეიმუშაოს ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული გეგმა.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელოს სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის სახელმწიფო დავალებათა დადგენილ ვადებში შესრულებისათვის, ამასთან განსაკუთრებული კონტროლი დააწესოს მათ დანერგვაზე იმ დარგებში, რომლებშიც ქალთა შრომა ჭარბობს.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ მომუშავე ქალების მიერ თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენებისა და მათთვის საოჯახო შრომის შემსუბუქების მიზნით გაითვალისწინონ მომსახურების პროგრესული ფორმების განვითარების უპირატესი ტემპი. უახლოეს წლებში საშუალო საკავშირო მაჩვენებლებამდე გაზარდონ თვითმომსახურების მაღაზიების, წინასწარი შეკვეთებით, უშუალოდ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე შინ მიტანით მოვაჭრე მაღაზიების ხვედრითი წილი, საყოველთაოდ უზრუნველყონ საბჭოთა ვაჭრობის მაღალი კულტურა.

გადამწყვეტი ზომები მიიღონ უშუალოდ სამუშაო ადგილას მუშა-მოსამსახურეთა შეუფერხებელი კვების ორგანიზაციისათვის, სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში ცხელი კერძების დამზადების გაუმჯობესებისათვის, მათი ქსელის გაფართოებისათვის და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში დასაჯდომი ადგილების გაზრდისათვის, მაღალხარისხოვანი სურსათ-სანოვაგით დროული მომარაგებისათვის.

5. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს იმ ყოველგვარი მომსახურების ფართოდ განვითარება, რომელიც ამსუბუქებს საოჯახო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომას, — რეცხვა, ტანსაცმლის ქიმიური წმენდა და ინდივიდუალური შეკერვა, საოჯახო ინვენტარის გაქირავება; მნიშვნელოვნად გაზარდოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, საყოფაცხოვრებო სამსახურის კომპლექსური მიმღები პუნქტების რიცხვი, განსაკუთრებით იმ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც უპირატესად ქალის შრომას იყენებენ.

6. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად 1979 წლის 1 იანვრამდე მიაღწიონ იმას, რომ მთლიანად მოწესრიგდეს სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური მომსახურების ობიექტებისა და დაწესებულებების მუშაობის დრო. ამასთან გაითვალისწინონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაო დრო და დასვენების დღეები.

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ გააფართოონ მოცულობა და მკვეთრად გააუმჯობესონ სპეცტანსაცმლის და სპეცფეხსაცმლის შეკერვის ხარისხი და უზრუნველყონ მათი გამოშვება სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, ქალებისა და მოზარდი თაობის მოთხოვნის მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის უზრუნველყონ საკმაო რაოდენობის, ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის საფეიქრო, შეკერილი, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ფეხსაცმლისა და სხვა სამრეწველო საქონლის წარმოება და სავაჭრო ქსელში რიტმული მიწოდება.

8. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ კვლავაც გააუმჯობესონ სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგება; განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ეს საქონელი გამოდიოდეს სათანადოდ შეფუთული და დაფასოებული. ამასთან აუცილებლად გაითვალისწინონ გაზრდილი მოთხოვნა დიეტურ და ბავშვთა კვების პროდუქტებზე.

9. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განახორციელოს ღონისძიებათა ფართო პროგრამა, რომლის მიზანია ქალთა და ბავშვთა შორის ავადობის პროფილაქტიკის გაუმჯობესება და შემცირება, პედიატრიული, სამეანო და გინეკოლოგიური დანიშნულების საწოლების ფონდის გაფართოება, კვალიფიციური კადრებით სამედიცინო დაწესებულებათა დაკომპლექტება.

ამაღლოს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურების მომთხოვნელობა წარმოებაში სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვისადმი, გააფართოოს საწარმოებში სამედიცინო-სანიტარიული ნაწილების ქსელი, განამტკიცოს რაიონული საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მატერიალური ბაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა თანამიმდევრულად გააფართოოს გამაჯანსაღებელი და სპორტული ბაზების, საბავშვო სპორტული სკოლების ქსელი.

11. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს რეკომენდაცია მიეცეს უახლოეს წლებში გაითვალისწინოს ახალი დასასვენებელი სახლების, სანატორიუმებისა და პანსიონატების, საბავშვო და საოჯახო დასვენების ჯანმრთელობის კერების მშენებლობა.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, მატერიალური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად გააძლიერონ კონტროლი სასკოლო და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების დაპროექტებისა და მშენებლობის მდგომარეობასა და ხარისხზე.

13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ დღენიადაგ სრულყოს რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდიკური ხელმძღვანელობა მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. გააუმჯობესოს აღმზრდელთა კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხი, აგრეთვე მეთოდიკური ლიტერატურის ხარისხი.

14. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ უახლოეს დროში უზრუნველყონ მოწყობილობის, ინვენტარის, ავეჯის, თვალსაჩინო სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საშუალებების, შეკერილი, საფეიქრო და სხვა ნაწარმის წარმოება, რომლებიც შეესაბამებიან თანამედროვე მოთხოვნებსა და ნიმუშებს, ამასთან სრულად დააკმაყოფილონ მათზე მოთხოვნილება.

15. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს რეკომენდაცია მიეცეს, რომ გაზარდოს პროფკავშირთა კომიტეტებისა და საბჭოების როლი შრომის კანონმდებლობისა და ქალთა შრომის დაცვის წესების შესრულებისადმი კონტროლის უზრუნველყოფაში, საწარმოებში მუშა ქალებისათვის სათანადო საწარმოო სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში.

16. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად პერიოდულად განაზოგადოს სასამართლო პრაქტიკა სამუშაოდან ქალთა უკანონო დათხოვნის საქმეებზე და შესაბამისი სახელმძღვანელო განმარტებანი მისცეს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს; ამასთან გაითვალისწინოს საქართველოს სსრ შრომის კანონების კოდექსის დარღვევაში კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების საჭიროება.

17. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა ყველა სამინისტროსა და უწყების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და თანამდებობის პირების მიერ შრომის კანონების ზუსტად შესრულებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად გააძლიეროს ქალთა შრომის, დედისა და ბავშვის დაცვის შესახებ კანონმდებლობის განმარტება და პროპაგანდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად გააფართოოს ამ პრობლემებზე მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის გამოცემა.

19. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სისტემატურად შეისწავლონ და გადაწყვიტონ აქტუალური პრობლემები და საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა სოციალური და შრომითი აქტიურობის თანამიმდევრულ ზრდასთან, მუდმივად იზრუნონ ქალებზე და მოზარდ თაობაზე, განიხილონ ეს საკითხები საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე, რათა კონკრეტული გამიზნული გადაწყვეტილებანი მიიღონ და მკაცრი კონტროლი დააწესონ მათი შესრულებისადმი.

20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა თავიანთ სხდომებზე პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლების, სამინისტროებსა და უწყებებში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში მათი შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხები, გამოვლენილ ნაკლოვანებათა ოპერატიული აღმოფხვრისათვის შეიმუშაონ ეფექტიანი, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ მათ შესრულებას.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლედის დარჩენილი წლებისა და მომდევნო პერიოდის გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებული კომიტეტების, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება მატერიალურ რესურსებზე იმ პროგრამათა განსახორციელებლად, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესებასთან.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა სისტემატურად მოაწყონ გადაცემები და გამოაქვეყნონ მასალები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ქალების როლს სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, კონკრეტული მაგალითებითა და გასაგები ფორმით განმარტავენ და პროპაგანდას გაუწევენ ქალთა სოციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შრომითი უფლება-მოვალეობების, დედისა და ბავშვის დაცვის შესახებ მოქმედ კანონმდებლობას.

23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეუნელებელი ყურადღება დაუთმოს ამ დადგენილების შესრულებას, თავის სხდომებზე სისტემატურად განიხილოს ცხოვრებაში მისი განხორციელების საკითხები, პრაქტიკაში დანერგოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელების ინფორმაციების მოსმენა ამ დარგში საქმის მდგომარეობის, ქალთა სოციალური და შრომითი აქტივობის თანამიმდევრული ზრდის, მათი შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების შესახებ.

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი ქალები, მთელ საბჭოთა ქალებთან ერთად მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისათვის ჩვენი ლენინური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუცხრომელი ზრუნვის პასუხად კვლავაც მთელ თავიანთ ნიჭს, მთელ თავიანთ ძალღონეს, მთელ თავიანთ გულუხვობას მოახმარენ და მზრუნველ ხელს არ მოაკლებენ ჩვენი მშვენიერი საბჭოთა სამშობლოს სამსახურს, მის გაძლიერებასა და აყვავებას; საქართველოს ქალები მეათე ხუთწლედში, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედში კვლავაც კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლის პირველ რიგებში იქნებიან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი.

## კანონი
## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 125 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1978 წლის 17 თებერვლისა — „საქართველოს სსრ შრომა-გასწორებითი კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ";

1978 წლის 25 აპრილისა — „საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი.

## კანონი
## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 126 მოქალაქეთა მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 23 თებერვლის ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 127 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1978 წლის 20 იანვრისა — „ამხ. ი. შ. ზედგინიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ";

1978 წლის 20 იანვრისა — „ამხ. გ. გ. ლეჟავას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ";

1978 წლის 1 თებერვლისა — „ამხ. ი. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1978 წლის 1 თებერვლისა — „ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 128 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:

**გვალია** ომარ შალვას ძე — ფოთის სამაშველო სადგურის უფროსი.

**კუზნეცოვი** ალექსანდრე ივანეს ძე — ფოთის სამაშველო სადგურის მეორე კლასის მყვინთავი.

**ნოზაძე** ელენე ვასილის ასული — ფოთის სამაშველო სადგურის უფროსი მედდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 26 ივნისი
№ 1142 — IX.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 129 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს მამაცობის და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“:

**კავთიაშვილი** ნიკოლოზ ბატონის ძე — შინაგან საქმეთა სამსახურის სერჟანტი.

**კეშელაშვილი** ვახტანგ ლევანის ძე — შინაგან საქმეთა სამსახურის კაპიტანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კოჯზაძე** ბიძინა ინგულის ძე — გასამხედროებული სახანძრო დაცვის სასწავლო რაზმის კურსანტი.

**ლაჭვრიშვილი გაიოზ დავითის ძე** — შიდასამსახურის რიგითი.

**ლილოვლიშვილი** მერაბ ივანეს ძე — № 3 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

**ნიკიტინი** ელგუჯა ალექსის ძე — შიდასამსახურის კაპიტანი.

**ნიკოდიმოვი** ვალიკო ვასილის ძე — შიდასამსახურის ლეიტენანტი.

**სურმავა** ჯუმბერ ევტიხის ძე — შიდასამსახურის პოდპოლკოვნიკი.

**ტეფნაძე** მევლუდ ივანეს ძე — შიდასამსახურის რიგითი.

**წიკლაური** ნოდარ გიორგის ძე — შიდასამსახურის მაიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 26 ივნისი.
№ 1141 — IX.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 130 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მუშაობისათვის, შრომის ინსპექციის მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის** საპატიო წოდება:

**არუთინოვს** მიგრან ნიკოლოზის ძეს — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცკ შრომის მთავარ ტექნიკურ ინსპექტორს.

**დათეშიძეს** ალექსანდრე ნიკიფორეს ძეს — მშენებლობისა და სამრეწველო საშენი მასალების მუშათა პროფკავშირის ცკ შრომის ტექნიკურ ინსპექტორს.

**დედაბრიშვილს** ანტონ ივანეს ძეს — მთავარ ტექნიკურ ინსპექტორს.

**ქაჯაიას** ლევან აქვსენტის ძეს — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცკ შრომის ტექნიკურ ინსპექტორს.

**ყიფიანს** ვალერიან ვლადიმერის ძეს — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს (ყოფილ შრომის ტექნიკურ ინსპექტორს).

**ჩალაძეს** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს — კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცკ შრომის მთავარ ტექნიკურ ინსპექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 22 ივნისი.
№ 1125 — IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 131 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საარქივო საქმის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და „საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ" ლენინური დეკრეტის მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის

**ბერულავას** ბორის გრიგოლის ძეს — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

**გოხაძეს** ელენე ექვთიმეს ასულს — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდების მთავარ მცველს.

**გულუას** შალვა ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორს.

**ინასარიძეს** შუქურა ვარლამის ასულს — საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის მოადგილეს.

**კოლბანცევას—დოხნაძეს** სვეტლანა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროს ინსპექტორს ძირითადი საქმიანობის დარგში.

**მოსოიანს** ოგანეს სიმონის ძეს — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ახალქალაქის ფილიალის ბოგდანოვკის რაიონული განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

**ნაზარიშვილს** მარიამ სერგოს ასულს—დოკუმენტური მასალების რესტავრაციის და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორიის რესტავრატორს.

**ტაბალუას** სერგო თეოფანეს ძეს — აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

**ყრუაშვილს** ვლადიმერ იოსების ძეს — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის თელავის ფილიალის დირექტორს.

**ჯიოევას** ანა ვლადიმერის ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის

**მანჯგალაძეს** ნათელა დავითის ასულს — საქართველოს სსრ ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო არქივების სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის უფროსის ბიბლიოთეკარს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 27 ივნისი.
№ 1151 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 132 ამხ. ტ. ვ. ივანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი კონსულტანტი ამხ. ტარიელ ვასილის-ძე **ივანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 2 ივნისი.
№ 1111 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 133 ამხ. კ. თ. ასათიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, გეგეჭკორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კარლო თომას ძე **ასათიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 12 ივნისი.
№ 1113 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 134 ამხ. გ. ა. ბუჭბულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გიორგი ალექსის ძე ბუჭბულაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 12 ივნისი.
№ 1112 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 135 ამხ. დ. გ. გოგობერიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. დავით გიორგის ძე **გოგობერიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 12 ივნისი.
№ 1114 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 136 ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ლენინური იდეების პროპაგანდის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე, პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების მე-40 წლისთავთან დაკავშირებით, **ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 20 ივნისი.
№ 1120 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 137 ამხ. მ. გ. გოკიელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო-სამეურნეო კრებსითი საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. მაგდალინა გაბრიელის ასული **გოკიელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 20 ივნისი.
№ 1117 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 138 ამხ. გ. მ. ზარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი მიხეილის ძე **ზარიძე** — დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 20 ივნისი.
№ 1122 — IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 139 ამხ. გ. ი. ქადაგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გრიგოლ ილიას ძე **ქადაგიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 20 ივნისი.
№ 1121 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 140 ამხ. ბ. ვ. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ბიძინა ვარლამის ძე **ჭელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 20 ივნისი.
№ 1118 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 141 ამხ. პ. ი. ხოფერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კვების მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. პანტელეიმონ ივანეს ძე **ხო-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 20 ივნისი.
№ 1119 — IX.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 142 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საარქივო საქმის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და „საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ“ ლენინური დეკრეტის მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ამაშუკელი** ბედისა პლატონის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი.

**არაჩემია** ილია ივანეს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს არქივის გამგე.

**ბიწაძე** მერი კარპეზის ასული — საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის განყოფილების უფროსი.

**თოფურიძე** თინა იასონის ასული — დოკუმენტური ფილმების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორიის რესტავრატორი.

**მელიქაძე** მერი ერემიას ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი.

**ნოღაიდელი** ნაზი ქემალის ასული — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსი.

**უვანია** ზურაბ ირაკლის ძე — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის დირექტორი.

**ტარიელაშვილი** ირა გიორგის ასული — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ხაშურის ფილიალის ბორჯომის რაიონული განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

**ფხაკაძე** ციალა მიხეილის ასული — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის განყოფილების უფროსი.

**ქურთიაშვილი** არტემ ზაქარიას ძე — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის თბილისის ფილიალის ამკინძავი-რესტავრატორი.

**ჩიკვაიძე** ბონდო ლევანის ძე — საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი.

**წკრიალაშვილი** მაყვალა ივანეს ასული — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის გორის ფილიალის დირექტორი.

**ძაგოევა** ანიუსია ნესტორის ასული — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივის ფონდების მცველი.

**ჯონუა** ალექსი ნესტორის ძე — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 27 ივნისი.
№ 1150 — IX.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 143 ამხ. გ. ე. აზაურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით. საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. გივი ევგენის ძე **აზაურაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 29 ივნისი.
№ 1153 — IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**144** **ამხ. ნ. ბ. ჩხოლარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანერგე მეურნეობათა ტრესტის დირექტორი ამხ. ნოდარ ბაგრატის ძე **ჩხოლარია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 29 ივნისი.
№ 1152—IX.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1978 წლის 26 ივნისის სხდომაზე განიხილა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან 1977 წელს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში გადაგზავნილი მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირებისათვის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს. მიუხედავად ამისა, მათი საქმიანობა ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ უპასუხებს „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებების და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებას და ამ საკითხზე სკკპ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტების გადაწყვეტილებებში დასახულ ამოცანებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

— დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 28 აპრილის დადგენილების და მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების განუხრელად შესრულებას;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მშრომელთა წერილების, გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადებების და საჩივრების კანონით დადგენილ ვადებში განხილვას, მათ მსვლელობას, ღრმად შეისწავლონ განცხადება-საჩივრებში დასმული საკითხები და მიაღწიონ მათ ოპერატიულად და მართებულად გადაწყვეტას, არ დაუშვან მშრომელთა განცხადებებსა და წინადადებებზე პასუხის გაცემის გაჭიანურების შემთხვევები;

— აამაღლონ მშრომელთა წერილებზე მუშაობის კულტურა, გულდასმით შეისწავლონ განმეორებითი და კოლექტიური განცხადებები და საჩივრები, მათი გამომწვევი მიზეზები;

— გააძლიერონ პასუხისმგებლობა იმ წერილებისა და საჩივრების განხილვაზე, რომლებიც გადმოგზავნილია ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოებიდან, არ დაუშვან ასეთი განცხადებების ხელაღებითი გადაგზავნა ქვემდგომ ორგანოებში, ხოლო გაგზავნის შემთხვევაში დააწესონ მათ განხილვაზე კონტროლი;

— დაწესდეს, რომ ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული მოქალაქეთა განცხადებები, როგორც წესი, უნდა მოწმდებოდეს იმ აღმასკომების აპარატის მიერ, რომელთაც დაევალათ საჩივრის განხილვა.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა ქმედითი კონტროლი დააწესოს თავის განყოფილებებში, გაერთიანებებსა და სამმართველოებში, აგრეთვე რაიონული საბჭოების აღმასკომებში გადაგზავნილი წერილების განხილვა-გადაწყვეტაზე, აღმოფხვრას ამ საქმეში ფორმალიზმი, აღკვეთოს განცხადებებსა და საჩივრებში დაყენებული საკითხებისადმი ზერელე დამოკიდებულების, შეუსაბამო გადაწყვეტილებათა მიღებისა და დასახულ ღონისძიებათა შეუსრულებლობის შემთხვევები.

* * *

ამავე სხდომაზე მოისმინეს გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიში სასოფლო საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს სასოფლო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათ საქმიანობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვისათვის.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილება-სამმართველოები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ სასოფლო საბჭოებს, დღეისათვის სასოფლო საბჭოების დიდი უმრავლესობა კეთილმოწყობილ შენობებშია მოთავსებული.

უმეტეს სასოფლო საბჭოში ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებთან.

ამასთან, როგორც აღინიშნა, გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სასოფლო საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში გააჩნია ნაკლოვანებანიც.

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს სესია მოუმზადებლად ტარდება, საკითხების განხილვაში ნაკლებად მონაწილეობენ დეპუტატები.

საბჭოების აღმასკომები ცალკეულ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფენ სესიებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების ფართო მონაწილეობას; ზოგიერთ მუდმივ კომისიას იშვიათად შეაქვს საკითხები სესიებისა და აღმასკომების სხდომების განსახილველად.

ნაკლოვანებებია ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საქმეშიც. ხიდისთავის, ზერბუკის, შავშვებისა და ძევერის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დღემდე არ განუხილავთ გასული წლის დეკემბერში ანგარიშების ჩაბარებისას ამომრჩეველთა მიერ დეპუტატებისადმი დაყენებული წინადადებები.

აღმასკომების ნაწილი საჭირო ორგანიზატორულ მუშაობას არ ატარებს ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნის საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმისათვის,

ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა მშრომელთა საჩივრების განხილვის საქმეს. ადგილი აქვს განცხადებებისა და საჩივრების დიდი დაგვიანებით განხილვის ფაქტებს.

ზოგიერთ სასოფლო საბჭოში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია მოსახლეობის სავაჭრო, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება კულტურის კერების საქმიანობა. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ზეღდულეთის, ქვემო ხვითის, კოშკას, მერეთისა და დიცის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული ფხვენისის, არაშენდის, საქაშეთის, ახალდაბის, რეხის, ზემო ხვითის და ხიდისთავის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ნაკლოვანებებია მოსახლეობის კინომომსახურებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს აღმოფხვრან ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი.

* * *

სხდომაზე მოსმენილ იქნა ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. კუხალეიშვილის ანგარიში მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელობს რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის V პლენუმის დადგენილებით, ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწევა მომსახურების სფეროში მოსახლეობის მზარდ მოთხოვნათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისა და მისი ყოფა-ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის.

საქალაქო საბჭოს მე-8 სესიამ სპეციალურად იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის V პლენუმის გადაწყვეტილებათა

შესაბამისად ქალაქის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ვაჭრობის სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ახალი საწარმოების მშენებლობისა და არსებულის რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

გასულ წელს მაღალი მაჩვენებლებისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მიეკუთვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამასთან განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება ჯერ კიდევ სრულიად ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. არასაკმარისი ყურადღება ექცევა მუშაობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების, შრომის მექანიზაციის დანერგვის საკითხებს.

ჯეროვანი წესრიგი არ არის დამყარებული საკოლმეურნეო ბაზარზე. აქ კვლავ ვხვდებით სპეკულაციის შემთხვევებს. ნელი ტემპით ვითარდება კოოპერაციული ვაჭრობა.

ბევრი სავაჭრო ობიექტი შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული. ჭიანურდება მათი რემონტი, გვიანდება გეგმური ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა. მოუწესრიგებელია სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობები, ხშირია ამ მიზნებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები, რაც იწვევს დიდი ოდენობით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დაზიანებას.

აუცილებელი საწარმოო ფართობების უქონლობის გამო ბევრი ობიექტი წვრილ პრიმიტიულად მოწყობილ სახელოსნოებშია მოთავსებული, ხოლო ზოგიერთ მსხვილ საცხოვრებელ უბანში კომპლექსური მომსახურების არც ერთი კეთილმოწყობილი ობიექტი არ არის.

სისტემატურად ვერ ასრულებენ გეგმებს ფეხსაცმლის შემკეთებელი, ინდივიდუალური კერვის სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი სხვა ობიექტი.

ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების პერსონალთან არადამაკმაყოფილებელი მუშაობით. ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი მუშაობის მოწინავე გამოცდილების დანერგვას, საწარმოთა სპეციალიზაციასა და გამსხვილებას, მომსახურების სფეროში ახალგაზრდობის მიზიდვას, მომზადებასა და დამაგრებას, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, რის გამოც დიდია დენადობა. არცთუ იშვიათია ზომა-წონაში მოტყუების, ფასების დამახინჯების, უფაქტურო საქონლის შეტანის, დეფიციტური საქონლის გადამალვის შემთხვევები.

ვაჭრობასა და მომსახურებაში არსებული ხარვეზები იმას მოწმობენ, რომ დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია აღმასკომისა და მუდმივი კომისიების მიერ საკითხების შესწავლის, განხილვის, რეკომენდაციების შემუშავებისა და მათი უშუალოდ შემსრულებლებამდე დაყვანის, აგრეთვე მათ შესრულებაზე სათანადო კონტროლის დაწესების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: დაევალოს ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიიღოს ყველა საჭირო ზომა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარებისა და მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს დროში აღმოფხვრისათვის.

* * *

სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების ცნობა „1976 წლის გეგმების შესრულების შედეგების მიხედვით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენილ დოკუმენტებში დაშვებული შეცდომებისა და უზუსტობების შესახებ“.

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ უზრუნველყონ მშრომელების სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარსადგენი დოკუმენტების ხარისხიანად მომზადება, კონტროლი დააწესონ წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაჯილდოების მასალების სწორად გაფორმებაზე, გაატარონ დამატებითი ღონისძიებები „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენის გაფორმების დროს დაშვებულ ნაკლოვანებათა შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 10 იანვრის დადგენილების მოთხოვნათა მკაცრი დაცვის მიზნით.

* * *

ამავე სხდომაზე განიხილა რა საკითხი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის გაწეული მუშაობის შესახებ ქ. ქუთაისში, ბოლნისისა და კასპის რაიონებში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ქ. ქუთაისის, ბოლნისისა და კასპის რაიონების საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაება აღნიშნულ პირთა 70—80 პროცენტი, ზოგიერთი მათგანი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ფართობით.

ამასთან ერთად ქუთაისის საქალაქო, ბოლნისისა და კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს და მათთან არსებულ სამეთვალყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეო კომისიებს, ასევე სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის საქმეში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა ქუთაისის საქალაქო, ბოლნისისა და კასპის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების და მათთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების სუსტი მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომითი მოწყობისა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

ქუთაისის საქალაქო, ბოლნისისა და კასპის რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ უახლოეს ხანში განიხილონ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის საკითხი და მიიღონ გადამჭრელი ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს, რომ შრომა-გასწორების დაწესებულებებმა და შინაგან საქმეთა ადგილობრივმა ორგანოებმა მტკიცე კონტაქტი დაამყარონ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიებთან თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის:

მიიღოს ზომები, რომ შრომა-გასწორების ორგანოებმა და დაწესებულებებმა სასჯელმოხდილი პირის მოსალოდნელი ჩასვლის შესახებ შეტყობინება დროულად გაუგზავნონ შინაგან საქმეთა ორგანოებს და აღმასკომებთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიებს.

არ დაუშვას საპასპორტო სამსახურის მუშაკების მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირებზე პასპორტების გაცემის გაჭიანურების შემთხვევები.

საქართველოს სსრ პროკურატურამ, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა თავიანთი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებთან სისტემატურად უნდა ჩაატარონ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი მუშაობა ახალ დანაშაულობათა ასაცდენად, გამოავლინონ და აღკვეთონ ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ პირების მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენას.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 12 ივნისის ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის"** მედლით დაჯილდოვდა 2.683 კაცი:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან . . . . . . . . . | 172 |
| —„— 1 მაისის —„— . . . . . . . . | 203 |
| —"— კალინინის —„— . . . . . . . . | 151 |
| —„— ორჯონიკიძის —„— . . . . . . . . | 207 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| —„— 26 კომისრის —„— | 118 |
| —„— საქარხნო —„— | 168 |
| ქ. ზუგდიდიდან | 19 |
| ქ. რუსთავიდან | 449 |
| ქ. ტყიბულიდან | 71 |
| ქ. ქუთაისიდან | 93 |
| ამბროლაურის რაიონიდან | 39 |
| ახალქალაქის „ | 29 |
| გურჯაანის „ | 392 |
| დუშეთის „ | 5 |
| ზესტაფონის „ | 11 |
| ზუგდიდის „ | 19 |
| თელავის „ | 57 |
| თიანეთის „ | 21 |
| ლანჩხუთის რაიონიდან | 130 |
| მახარაძის „ | 23 |
| მცხეთის „ | 9 |
| ონის „ | 51 |
| სამტრედიის „ | 35 |
| საჩხერის „ | 75 |
| წალკის „ | 15 |
| წულუკიძის „ | 76 |
| ხაშურის „ | 45 |

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის“** მედლით დაჯილდოვდა 3950 კაცი:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან | 131 |
| „ კალინინის „ | 169 |
| „ კიროვის „ | 244 |
| „ ორჯონიკიძის „ | 256 |
| „ 26 კომისრის „ | 253 |
| ქ. გორიდან | 4 |
| ქ. ზუგდიდიდან | 27 |
| ქ. რუსთავიდან | 19 |
| ქ. ტყიბულიდან | 86 |
| ქ. ფოთიდან | 58 |
| ქ. ქუთაისიდან | 75 |
| ადიგენის რაიონიდან | 97 |
| ახალციხის „ | 37 |
| ბოგდანოვკის „ | 14 |
| ბოლნისის „ | 25 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| ბორჯომის " | 42 |
| გარდაბნის " | 142 |
| გეგეჭკორის " | 35 |
| ვანის " | 50 |
| ზესტაფონის " | 112 |
| თეთრი წყაროს " | 15 |
| თელავის " | 402 |
| ლაგოდეხის " | 84 |
| ლენტეხის " | 3 |
| მაიაკოვსკის " | 40 |
| მარნეულის " | 254 |
| მახარაძის " | 93 |
| მესტიის " | 28 |
| მცხეთის " | 66 |
| საგარეჯოს " | 191 |
| საჩხერის " | 81 |
| ქარელის " | 8 |
| ყვარლის " | 107 |
| ჩოხატაურის " | 50 |
| ჩხოროწყუს " | 24 |
| ცხაკაიას " | 46 |
| წალკის " | 12 |
| წითელწყაროს " | 555 |
| ხობის " | 15 |

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 254 მრავალშვილიანი დედა:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისიდან | 19 |
| ქ. რუსთავიდან | 6 |
| ადიგენის რაიონიდან | 4 |
| ასპინძის " | 2 |
| ახმეტის " | 4 |
| ბოგდანოვკის " | 4 |
| გარდაბნის " | 51 |
| დმანისის " | 11 |
| ზუგდიდის " | 8 |
| თელავის " | 3 |
| ლაგოდეხის " | 10 |
| ლენტეხის " | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| მარნეულის | „ . . . . . . . . . . . . . | 33 |
| მცხეთის | „ . . . . . . . . . . . . . | 5 |
| ორჯონიკიძის რაიონიდან | . . . . . . . . . . . | 3 |
| საგარეჯოს | „ . . . . . . . . . . . . | 26 |
| საჩხერის | „ . . . . . . . . . . . . | 6 |
| ჩხოროწყუს | „ . . . . . . . . . . . . | 5 |
| ცხაკაიას | „ . . . . . . . . . . . . | 8 |
| წალენჯიხის | „ . . . . . . . . . . . . | 9 |
| წითელწყაროს | „ . . . . . . . . . . . . | 3 |
| ხაშურის | „ . . . . . . . . . . . . | 8 |
| ხობის | „ . . . . . . . . . . . . | 12 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | „ . . . . . . . . . . . . | 9 |

* * *

## ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დმანისის რაიონის ყიზილქილისის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ორმაშენი და მიეკუთვნა კიროვისის სასოფლო საბჭოს.

სოფელ ორმაშენიდან ყიზილქილისის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი კიროვისის სასოფლო საბჭოში.